

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ირაკლი ბონდარენკოს შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
<b>ქულათა ჯამი</b>	<b>90</b>	<b>100</b>

სახელი, გვარი: გოგა კვიციანი

თარიღი: 26/01/2024





**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**არამოსამართლე წევრი**

**გოგა კიკილაშვილი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

**ირაკლი ბონდარენკოს**

**შ ე ფ ა ს ე ბ ა**

**1. პროცედურის შესახებ:**

- 1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.
- 1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ირაკლი ბონდარენკო** (შემდგომში - „კანდიდატი“).
- 1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - „კანონი“) 34<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავაცანი დეტალურად.
- 1.4. „კანონის“ 34<sup>1</sup> მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 27 მარტს, ჩემი მონაწილეობით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.
- 1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „კანონის“ 34<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

**2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:**

- 2.1. „საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. „კანდიდატი“ 48 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, სტუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ დაახლოებით 15 წელია. კერძოდ:

- ✓ 1998-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის, მოსამართლის თანამუშევრის და მთავარი მრჩეველის თანამდებობებზე;
- ✓ 2007-2009 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;
- ✓ 2009 წლის ივნისიდან დღემდე მოსამართლეა, კერძოდ - უფლებამოსილებას ახორციელებდა: 2009-2011 წლებში - ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში; 2011-2017 წლებში - სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (იყო სასამართლოს თავმჯდომარეც); 2017-2022 წლებში - თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; 2022 წლის მარტიდან დღემდე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; არის იმავე სასამართლოს თავმჯდომარეც.

აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები „კანდიდატს“ დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

2.1.3. „კანდიდატის“ შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, ინფორმაციები მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, მისი უკიდურესად მოსამართლედ განწესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; აქვს მიმდინარე სესბი, დადებითი საკრედიტო ისტორიით. „კანდიდატის“ საკუთრებად რეგისტრირებულია საცხოვრებელი ბინები: 86.3 მ<sup>2</sup> ფართით ქ. თბილისში და 50 მ<sup>2</sup> ფართით ქ. ბათუმში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატი“ 2 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. სასამართლოში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს; ის არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 95.3% შემთხვევაში; ასევე - საქმეთა 68.4% შემთხვევაში აქვს დაცული გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადებიც; მის მიერ გამოტანილი

გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 94.7% შემთხვევაში.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ 3 საქმეზე გამოტანილი განჩინებები, რომელთა შესწავლით ირკვევა, რომ „კანდიდატი“ ზოგჯერ არასწორად იყენებს სასვენ ნიშნებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას (აღქმას) გარკვეულწილად აფერხებს. ასევე, გადაწყვეტილებებში პრაქტიკულად არ არის გამოყენებული სამეცნიერო წყაროები, არგუმენტაციის გასამყარებლად უპირატესად მოშველიებულია მხოლოდ სასამართლო პრაქტიკა. ვისურვებდი ამ კომპონენტის შევსებასაც საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი მაღალი სტანდარტის შესაბამისად, ისეთი ფორმით და მოცულობით, რომ არ გადაიტვირთოს სასამართლო გადაწყვეტილება დიდი და რთული ტექსტებით და არ შეიქმნას მხარეების მიერ გადაწყვეტილების შინაარსის აღქმის პრობლემა.

2.1.8. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობდა სასწავლო დონისძიებებში (მაგ: სამუშაო შეხვედრა - „შრომით დავებზე კოვიდ-ის გავლენა და საქართველოში სასამართლო დავები 2020 წლის შრომის სამართლის რეფორმის შემდეგ: ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები“; „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“; „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები“ და ა.შ.).

2.1.9. „კანდიდატს“ 2007 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.10. „კანდიდატი“ არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

2.1.11. „კანდიდატი“ ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

## 2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბმულზე:

[https://www.youtube.com/watch?v=0NiGQ\\_Gvk2I&t=554s](https://www.youtube.com/watch?v=0NiGQ_Gvk2I&t=554s)

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატს „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს ზოგადი და სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები ძირითადად იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული, თუმცა, გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები კერძოდ:

2.2.2.1. უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებულ როლზე/პასუხისმგებლობაზე საუბრისას, აქცენტი დასვა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურის დიაობაზე, თუმცა, ის არ აღუნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლში 2023 წლის 13 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად, პროცედურა ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განსაწესებლად გახდა იდენტური;

2.2.2.2. ამომწურავი განმარტებები ვერ ჩამოაყალიბა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი განმარტების სავალდებულო ძალასთან დაკავშირებით, ასევე - სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის (ე.წ. უზრუნველყოფის მეზრუნების) შესახებ და ა.შ.

### **3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:**

3.1. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
- ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
- გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
- დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
- ე) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი და აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, თუ შემფასებლის წინაშე არ არის წარმოდგენილი ამ პრეზუმფციის გაქარწყლებისთვის საჭირო სათანადო და სანდო ინფორმაცია.

3.2. საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული ინფორმაციის<sup>1</sup> ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ:

3.2.1. „კანდიდატი“, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, გამოიჩინა პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით სამსახურებრივი თუ არასამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას, მაგ. საბანკო კრედიტიდან გამომდინარე ვალდებულების დროულად და ჯეროვნად შესრულება, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის დროულად შევსება და ა.შ.

მონაცემთა ანალიზის შედეგად მიველი დასკვნამდე, რომ კეთილსინდისიერება, პატიოსნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიმართლისმოყვარეობა „კანდიდატის“ დამახასიათებელი თვისებებია. საერთო მონაცემების გათვალისწინებით, შესაფასებელ სამწლიანი პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის 2 შემთხვევა ვერ ჩაითვლება პრეზუმფციის გასაბათილებლად გამოსადეგ გარემოებად.

მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე შეფასების მე-2 პუნქტი.

3.2.2. „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებლით შეფასების დროს მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი არის მტკიცე ნებისყოფის, დამოუკიდებელი და პრინციპული პიროვნება, რომლისთვისაც სირთულეს არ წარმოადგენს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება, ავლენს მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნების თვისებებს, შესაბამისად, „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (იმვე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) მოთხოვნებს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო უთიკას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისტილის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/ სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ<sup>2</sup> „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.2.4. „კანდიდატს“ აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

ზემოაღნიშნული მადღევს საშუალებას მივიჩნიო, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ<sup>3</sup> „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.2.5. „კანდიდატის“ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული აქტივების, შემოსავლის ოდენობის, შემოსავლის წყაროს და ნაკისრი ვადლებულებების ანალიზის შედეგად მიმაჩნია, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ<sup>4</sup> „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს, გავაკეთე „კანონის“ 35<sup>2</sup> მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა, რომ „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<sup>2</sup> კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-6 პუნქტით.

<sup>3</sup> კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე 7 პუნქტით.

<sup>4</sup> კომპონენტები განისაზღვრება ამავე მუხლის მე-8 პუნქტით.

#### 4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შეფასება ეფუძნება საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატის შესახებ მიღებული/მოძიებული დოკუმენტური მასალების (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზს, რის შედეგადაც შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით მიველი შემდეგ დასკვნამდე:

4.1.1. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლის ნორმების ცოდნა“<sup>5</sup> მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

მოსმენის შედეგების და წარმოდგენილი შეფასების 2.2.2. პუნქტში აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კარგი ცოდნა.

„სამართლის ნორმების ცოდნის“ კომპონენტში „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.2. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია“<sup>6</sup> მაქსიმალური შეფასება „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 20 ქულას.

„კანდიდატს“ აქვს მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილება, ასევე ავლენს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარს, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული და დამაჯერებელია, თუმცა გასათვალისწინებელია შეფასების 2.1.7 პუნქტში მითითებული მონაცემები.

„სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ კომპონენტით „კანდიდატს“ ვაფასებ 18 ქულით.

4.1.3. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „წერის უნარი“<sup>7</sup> მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად განისაზღვრება 20 ქულით.

„კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად<sup>8</sup> მიველი დასკვნამდე, რომ „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია, ჩანს ანალიტიკური უნარები. ფიქსირდება უმნიშვნელო ხარვეზები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დოქტრინალური განმარტების წყაროა, ვისურვებდი, უფრო მეტად იყოს გაჯერებული რელევანტური ქართული, თუ საერთაშორისო პრაქტიკის და სამეცნიერო წყაროების ანალიზით.

<sup>5</sup> კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-9 პუნქტით.

<sup>6</sup> კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-10 პუნქტით.

<sup>7</sup> კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

<sup>8</sup> იხ: წინამდებარე შეფასების 2.1.7 პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით „კანდიდატს“ „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით ვაფასებ 17 ქულით.

4.1.4. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის - „ზეპირი კომუნიკაციის უნარი“<sup>9</sup> მაქსიმალური შეფასება ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად შეადგენს 15 ქულას.

„კანდიდატი“ აზრს გადმოცემს ნათლად და გასაგებად, მეტყველებს გამართულად, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს ლოგიკურად, ავლენს მიმდებლობას განსხვავებული აზრის მიმართ, დიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით.

შეფასების დროს ყურადღებას მივაქვევ „კანდიდატის“ საუბრის მანერას, ტემბრს და აქტიურ მხედველობით კონტაქტს მოსაუბრესთან, რაც ადვილად მოსასმენს და ადვილად გასაგებს ხდის მის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას.

„ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 13 ქულით.

4.1.5. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“<sup>10</sup> ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 15 ქულით.

შესწავლილი მონაცემების საფუძველზე ვაკეთებ დასკვნას, რომ „კანდიდატი“ არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული, აქვს კარგი მენეჯერული უნარები, გამოირჩევა საქმისადმი სათანადო პასუხისმგებლობით.

სასამართლო დარბაზში მისი ქცევა არის დადებითი სტანდარტების შესაბამისი, სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, მუშაობს დამოუკიდებლად, და ორგანიზებულად, სტრუქტურულ პირობებშიც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. შეფასების დროს მხედველობაში მივიღე მონაცემები მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის შესახებ.<sup>11</sup>

„პროფესიული თვისებების (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში)“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 14 ქულით.

4.1.6. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა“ ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს, ავლენს ინტერესს ახალი ცოდნისა და უნარების შექენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

<sup>9</sup> კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-11 პუნქტით.

<sup>10</sup> კრიტერიუმის კომპონენტები განმარტებულია ამავე კანონის ამავე მუხლის მე-12 პუნქტით.

<sup>11</sup> იხ. წინამდებარე შეფასების 2.1.6 პუნქტი.



„აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 5 ქულით.

4.1.7. „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი „პროფესიული აქტივობა“ ამავე „კანონის“ 35<sup>1</sup> მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ფასდება არაუმეტეს 5 ქულით.

„კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ლიად და თავისუფლად, ახდენს განსახილველი საკითხების ინიცირებას. კანდიდატი ამ ეტაპზე არ ეწევა აკადემიურ საქმიანობას, თუმცა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაო შეხვედრებში სასამართლო სისტემის შიგნით და სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად არის სხვადასხვა კომისიის წევრი.

„პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით „კანდიდატს“ ვაფასებ 5 ქულით.

4.2. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, „კანდიდატს“ ჯამურად ვაფასებ 90 ქულით.

ხელმოწერა: 